

26
1865

ГРУЗИНСКІЙ

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1865.

НОЯБРЬ.

სამართლებლს

სასულიერო მახარებელი.

ნოემბერი.

ხედე წ.

ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА И К^о.

ПОДШИСКА

НА

„ГРУЗ. ДУХ. ВѢСТНИКЪ“

продолжается и принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одни прибавленія на русск. языкѣ, для особо подписывающихся, 1 р. с. По той-же цѣнѣ можно получать остающіеся экземпляры журнала за *первый* (18⁶⁴/₆₅) годъ.

Независимо отъ журнала продаются: “Общепонятное изложеніе догматическаго ученія Православной вѣры,, и “Жизнь Пресв. Богородицы,,—на груз. яз.—по 40 к. с. экземпляръ, съ пересылкою и безъ нея.


სეჲლისძეგჲრსა ჟურნალსჲდ მთილეს სემინარიაში, რედაქტორის სასეჲრსჲდ. თასი წლის ჟურნალისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხუა ქუჭყენებში გაგზავნით ხუთი მანეთი; მიუტანელად და გაუგზავნელად ოთხი მან. მარტო რუსულსათჳს ერთი მანეთი. ამავე თასათ შეიძლება გამოწერა დანამთენის ეგზემპლიარების წარსრული წლის ჟურნალისა.

ცალკე იხუიდება: “ადგილსასმენელად გამოხატუა მართლმადიდებელის სარწმუნოების დოქმატიკურის სწავლისა,, და “ცხოვრება ყოვლადწმიდისა ღუთისძმობლისა,,—ორ აბაზათ თჳთო ეგზემპლიარი, გაგზავნით და გაუგზავნელად.

35

წამება აბიზონ ნეკრესელ ეპისკოპოსისა. (*)

ოდეს დაეპყრა ქართლი მეფეს სპარსთასა, და იგი სელმწი-
ფე იყო ხუცნსა ამას ქუჩყანასა, და სპარსნი აღსრულებდეს ბოღწე-
სა კერპთმსახურებასა ცეცხლის თაყუანისცემისასა, — მამნ იგინი
მრავალთა ქრისტიანეთა შეცთუნებდეს, დაუმტკიცებელთა საწმენო-
ებითა ჭ გონებით ნაკლულევანთა.



სოლო ნეტარი აბიზონ ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსნი, სე-
ვისა კახეთისა, აღიძრა შურითა საღმრთოთა და კერ თავსიდვა უც-
სოხა მის სამსახურებელისა მახლობლად ყოფა და დაასხა მტირედ
წყალი სენეში და დაშრიტა იგი. ესე რა ჭსტნეს უხვულათა მათ
სპარსთა, ფრიად ჭკვემეს, კინლა ვიდრემელა მოკლეს ნეტარი იგი,
და საზურობილესა შეაყენეს დიდითა იწროებითა და მრავლითა
ტანჯვითა.

ამისა შემდგომად მისწერეს მსწრაფელ ზენა სოფლად მარხაზ-
ნისა საქმე ესე; სოლო მან ბრძანა მსწრაფელ მისი შეკრვა და მი-
ევანება მის წინაშე; და მოვიდეს მივლინებულნი იგი მტარ-
ვალნი და წარიევანეს, ვითარცა ბრძანებულაიყო, მრავალთაგანითა
ჭირითა მიიევანეს იგი.

სოლო ნეტარი იგი ეპისკოპოსნი აბიზონ მეგობარი იყო ბრ-
წყინვალისა მის მნათობისა სვიმეონ მესვეტისა ანტიოქელისა, არა

(*) სხენება მისი 29 ნოემბერს.

თუ სილვიითა ეხილვას სანამე ერთმანერთი, ანამედ სულაერთითა მით სიყვარულითა, რომელითა იხილვების შორიელი, ვითარცა მასლახელი და კვალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავება. მას ოდენ უამსა ოდეს მოჭყვანდათ წმიდა ახიბოს დაემთხვის მას მოციქული იგი წმიდისა სვიმეონ მესვეტისა, სოფელსა რომელსა ქქვიან იაღდო, და მოართვა მას წიგნი, ეკლოგია და კვერთხი წმიდისა სვიმეონ მესვეტისა ანტიოქელისა საკვირველთმოქმედისა. და ვითარცა მიიღო წიგნი იგი ეზისკოპოსმან, აღმოვიტისა და განისარა სისარულითა დიდითა და განმტკიცნა ფრიად, და თანა წარმოიხსნა იგი და განმსიარულეუელი მოვიდა. სოლო შეუკვნიებასა მას მისსა მოძევანებულთა ჭრქვეს მას: “უკეთუ არა გნებავს წარსლვას ჩვენ მოგიღოთ და უკუნ განქციოთ... სოლო მან არა თავს იღვას, რამეთუ ისწრაფდა და სურდა მარტვილობა (მოწამეობა).

და ვითარ მოიწივნეს მასლახელად ჩვენსა ამას სამეუფოსა ქალაქსა მცხეთისასა, ჭხადოდა იგი დედასა თვისსა რაქაელს, რომელ არს ერთი კათოლიკე ეკლესიისა სამოციქულო და ვიდრელათუ იტყოდაცა ვითარმედ დედაო. “აჲ ესერა შვილი შენი იოხებ, წარსწავთ ეგვიპტედ კრული, ვითარცა ტყვე; და ვინმე ჭრქვა: არა ეგრე, ანამედ სუიკვად განემზადები ნაყოთა მათგან შეენიერთა საუნჯეთა თვისთა; მთნავს შენი ეგე გზა და ვიდოდე მას ზედა.

მამინ ეკედრა მტარვალთა, რათა მივიდეს ნეტარისა შიოსა მღვიმედ, რამეთუ იტოდა იგი წინათვე და სურვიელ იყო იგი სილვად მისსა. სოლო მათ განუტევეს იგი და შთავიდა უდაბნოდ და იხილა ნეტარი იგი ბერი და ჭყვეს ღოცვას და მოვიტისეს ურთიერთაარს, და ვითარცა ჭრასვიდეს, ჭრქვა წმიდამან ეზისკოპოსმან ბერსა: “ღოცვას ჭყავ, მამაო...

“რამეთუ უხჯულანი ესე სხარსნი განძვინდეს ჩვენ ზედა ამნარტკვანებითა თვისითა, რამეთუ დაიბურეს სოფელი ესე ჩვენი, შენ

უწყო რამეთუ ხაბილოვანი ძარადის კერპთ მასწავლებლ არს, და ღონის-
მეძიებელ არიან, რათამცა ყოველნი კაცნი თაყვანისა-ცემინეს კერპ-
თა. მაშინ ხადამე ხამთა ყრმათა, ძინს ღუთისასა თანა მდგომარეთა
ძინს მიერთითავე ძაღითა კერპი იგი დაადგენს და განაქარვინებს და
მძლავრი იგი ყოვლით ძაღით ძინითურთ კდემასა ქვეშე შეაყენებს.
და აწცა მათ უხჯულათა ძინთა ხასეთ ეგუღებობის, რათამცა კვალად
განსაგდეს ხადე და შეაყენებს კაცნი და თაყვანისა-ცემინეს ცეტსლსა...

მიუგო ბერძს და ჭრქვა: “ვიცი; მამარ მიუღობელო, რამეთუ
დაშრიტე ცეტსლი იგი მათი სრულიად, რომელსა ესვიდეს უხჯუ-
ლანი იგი; არამედ მოგმადლენ უფაღმან, რათა აღტყნებულცა
იგი უხინო ცეტსლი, რომელი აღუგზნიეს შენათვის ეშმაკსა განსაც-
დელად, დაშრიტო აღვილად. არა უმეტარ არს სიწმიდე შენი, რამეთუ
მრავლითა ჭირითა გვიღირს შესკლად ხასუფეველსა ღუთისასა. ხო-
ლო ნუ შესძრუწუნდები მათისა ძინგან მოძღვრებისა, ვინადგან იტ-
ყვის მოციქული, ვითარმედ მსჭირვებულთა თქვენთა ჭირი და თქ-
ვენ ჭირვეულთა ღზინი, უწყოდე რამეთუ ჭირი მათი შენდობა გე-
ქმნეს წარუვალ, და ჭირი ეგე შენი—მათი დაცემა და განხნევა...”

და შეძღვომად მრავლისა სიტყვისა განმტკიცნა ნეტარი აბი-
ბოს ბერისაგან, და ჭყვეს ღოცვა და წარემართა ღვაწლსა მას სინს-
რულით. და ვითარცა მოიყვანეს იგი მარზაზნისა ძინს ზენა სოფ-
ლად სოფელსა, რომელსა ჭრქვიან რესი, და შეჭკრბა მუნ სიმრავლე
ეზისკობობთა და მღუდლეთა და ერისმთავართა და თეატრონი დი-
დი იქმნა წინაშე მარზაზნისა.

მაშინ წარმოადგინეს წმიდა აბიბოს ეზისკობობი და ჭრქვა
მას მარზაზანძან ძანს:,, რომლისათვის უარ-ჭყვავ უფლებსა მეფეთ
მეფისა და მოჭკვალ ღმერთი ჩვენი? “მიუგო აბიბოს და ჭრქვა:
“მე არა ვინ ვიცი მეფედ მეფედ, გარნა უფალი ჩვენი იესო ქრის-

ტე, ხოლო ცეცხლი იგი დაჰშრიტე, მისთვის, რათამცა საცთური განვაქარვე ეშმაკისა,,.

“ხოლო გლოცავ რათა განეყენეთ უნდოხა ამას მსახურებსა და ღმერთი მხოლო იცნათ, რომლისა მიერ დაებადა ყოველი და მას მხოლოსა მსახურებდით, რამეთუ წერილ არს: “უთაღსა ღმერთსა შენსა თაყვანის-ეც და მას მხოლოსა მსახურებდე,,. ჭრქვა მას მარზაჰანმან მან: „მე გკითხავ, რისთვის მოჭკალ ღმერთი ჩვენი და შენ გნებავს, რათამცა შენისა ღმერთისა წარგვიყვანე. ხოლო სეტარმან მან აბიბოხ ჭრქვა: “უწებულ იყავნ შენდა, ვითარმედ ღმერთი არა მომიკლავს, ხოლო ცეცხლი დაჰშრიტე, არა არს ღმერთი იგი; არამედ სხვათა ბუნებათაგანი არს ერთისა ნიუთისაგან მცირედინაწილი, რომელთაგან აღმართა ღმერთმან სოფელი ესე განსწორებით დახადებულ არს: ნოტიარ, ცივი, სძელი და ცეცხლი, რომელთა ერთი ერთისა მხურბელობა აქვსთ. სიმრავლესა მას შინა ესრეთ განსწორებითა ნაწილთათა დგანან ესენი და უკეთუმცა ერთი ერთისამცა აღემატა, განამცა-ჭქარდა მეორე იგი. ხოლო თქვენი იგი ცეცხლი მისვე ცეცხლისა ბუნებისა ნაწილი არს, სძელითა და ცივითა აღდგომი შეშისა ჭამითა მეორე უამიერ, ერთი მცირე წყალი დაკასხ, მძლე ექმნა და მოჭკალა იგი. რამეთუ უიგროხ მისსა იზოვა წყალი იგი. აწ მიკვირხ თქვენი ესე სიცოფე, ვითარ არა სირცხვილ გიხნს მისი სახელის-დება ღმერთად, რომელსა ესოდენი სული აქვს, რამეთუ თქვენი ესე ცეცხლი თქვენდავე მონა არს, და კერპთა შეურაცხის-მყოფელთა კერავის ხედავს, უკეთუ ღმერთი არს ეგე თქვენ იტყვიით.

რამეთუ რდესმე თქვენსავე სოფელსა განმზადეთ მსახურებსა მის კერპისა, რომელი იგი ჭქმენით რქროხა, სატანჯუკლად განმზადებულსა მას თქვენ მიერ მამინდელსა აწ ღმერთ ეწოდების,,.

მამინ განრისხნა მარზაჰანი იგი მეთვისა, და შემდგომად მრ-

კლისა გვეძინს და სკრეკელთა სტანკუკელთათა ქვითა განტკინებს იგი ნეტარი აბიზო და მოჭკლეს და განათრებს გარეშე ქალაქსა და მტველნი განაწესებს მას ზედა, რათა მსეტთა და ფრინველთა შესჭამნეს სოცნი მისნი, რამეთუ ეშინოდა ნუ უკვე ქრისტიანენი მოვიდნენ და წარისვენ იგი, და დიდებით დაჭკრძალნენ:

სოლო სამგზის სანატრელსა მას სოცთა მისთა არა რა შეესო ყოვლადვე მსეტთა და მოფრინველთაგან და ვითარ მყოვარ ეამისსნეს. დაუტევეს მტველთა მათ და წარვიდეს, გამოვიდეს მამანი იგი, რომელნი მყოფ იყვნეს გარემო ქალაქებსა მას რესისსა და მათთა მოწაფეთაგანსა აღეშენა მონასტერი იგი და აღისვენეს ნაწილნი იგი წმიდისა აბიზოსნი და დაიუღეს ადგილსა მას დიდებითა დიდითა.

(ქართული ქრისტომატია).

ს ი ტ ე უ ა,

ტაძრად მიუვანებისა უოულად წმიდისა და მარადის
ქალწულისა მარიაძისა. (*)

დღეს განგებულებისა ღუთისა დასახამი არს, და საუკუნიდ-
გან საიდუმლოსა მის აღსრულებისა დაწყება, რამეთუ ტაძარსა ში-
ნს ღუთისასა ქალწული დაემკვიდრების, ჳ ქრისტესა უოულთა გვა-
სარებს, ამას უღადადოთ სმა მადლად, გინაროდენ განგებულებისა
ღუთისა აღსასრულთ. (ტროპარსი კა ნოემბრის).

პირველი კაცნი აღამი ჳ ცოლი მისი ევა იუენს სამოთ-
ხესა შინა, წმინდანი, დიდებულნი და ნეტარნი, ვითარცა ანგელოს-
ნი ღუთისანი; გარსა შეგონებითა ემძაკისათა არღარა აღსასრულეს
ღუთისაგან მიცემული სჯული, რომელი იუო ესე იგი, არა ჭამა
ხისა მის ნაყოფი, რომლისაგანაცა იცნობდენ იგინი კეთილსა და
ბოროტსა. გარსა შთაგონებითა ემძაკისათა სჭამეს იგი.

ამისათჳს განდევნა იგინი ღმერთმან სამოთხიდგან და მის-
ცნა სიკვდილსა და სასჯელსა, თუმცა პირველ იუენს იგინი ნე-
ტარნი და უკდავად შექმნილნი.

(*) ოსურს ენასა ზედა, თარგმნით თქმული, ოსეთის უწყების
სოფელს სუადგის წმიდის წინასწარმეტყველის ილიას ეკვლესიას ში-
ნს, ნოემბრის 21 1864 წელსა.

პირველისა მის კაცისა ცოდვა სოფლად შემოხდა, & ცოდვისა მის ძლით სეჟდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკვდილი მოიწია (რომ. 5. 12).

ყოვლად-მეტეცნიერძან ღმერთძან უწინვე კაცის შექმნისა იცოდა, რომელ ადამი და ცოლი მისი მოსტყუებოდენ სწავლითა ეშმაკისათა, & აზღარა აღსრულებდენ სჯულსა, მაგრამ მაინც არა დაიშალა მან შექმნა კაცისა, ამისთვის რომელ ენება ღმერთსა, რათა გამოეჩინა უმეტესი სასიერება და შემძლებელობა თვისი, და დაეთრუნა ეშმაკი კაცის შეცდენისათვის. ამისთვის პირველვე განაგო & განსაზღვრა მოკლენა მსოფლოდ შობილისა მისა თვისისა ქრისტესისა ზედა, რათა მან შეისხას სოცტი ყოვლად წმიდისა ქალწულისაგან მოქმედებით სულისა წმიდისათა, & იშვას მისგნ ვითარცა კაცი, დასთრუნოს ეშმაკი შემაცდენელი კაცისა, გამოისხნას იგი ცოდვისა, წყევლისა და სასჯელისაგან, & კვლად შეიყვანოს იგინი სასუფიველსა თვისსა უმეტესსა და უდიდესსა დიდებასა შინა, ვიდრე ვითარი აქუნდათ პირველ საძმოსებსა შინა. ესე იგი იყო განგებულება ღმერთისა პირველ კაცის შექმნადის. გარნა დაწყება და აღსრულება ღმერთისა განგებულებისა წარმოხდეს ყოვლად-წმიდისა და მარადის ქალწულისა მარიაძისაგან, მით რომელ, ოდესაც იყო იგი საძმის წლის ყრმა, მაშინ მოიყვანეს იგი მართალთა მშობელთა მისთა, იოაკიმ და ანნამ, ეკვლესიასა შინა, წარადგინეს იგი წმიდასა შინა წმიდათასა, და შესწირეს ღმერთსა ვითარცა კრავი უძანკო.

სოლო შეწირვა იგი ყოვლად-წმიდისა ქალწულისა მარიაძისა იყო განგებითა ღმერთისათა, მით რომელ საძმიადგანვე დედისა იყო აღსრუელ ყოვლად-წმინდა იგი დედად მისა ღმერთისა. ამისთვის თვით ღმერთძან მოუწოდა მას ეკვლესიასა შინა და დაიწინდა სძლად თვსად დღევანდელსა დღესასწაულსა ამას, რათამცა მისგან წარმოხდეს დაწყება და აღსრულება საღმრთოსა განგებუ-

ლებიან, და რათა მისგან იშვას სავსარქელი ძე მისი გამოსახ-
სნელად კაცთა. ამისთვის წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის მოუ-
წოდს ყოველთა შეილთა თვხთა, ესე იგი ყოველთა მოწმუნეთა
და უგალობენ გალობასა ამას ყოვლად წმიდასა ქალწულს მარიაჲს.
დღეს ღმრთისა განგებულებისა დასახამი არს და საუკუნდგან საი-
დუმლოსა აღსრულებისა დაწყება, რამეთუ ტაძარსა შინა ღმრთისასა
ქალწული დაემკვიდრების, და ქრისტესა ყოველთა გვასარებს, ამას
ულაღაღოთ ხმა მალაღ: გინაროდენ განგებულებისა ღმრთისა აღ-
სასრულთ!., (ტროპ. ნოეზრის 21).

სოლო ოდესაც დასდგა წელიწადი იგი, რომელსა შინაცა
უნდა აღსრულებულ იყო განგებულება ღმრთისა, მოიკლინა ზე-
ციდგან მთავარ ანგელოზთა გაბრიელი ქალწულთან და ჭრქვა: გინა-
როდენ ყოვლადწმიდაჲ ქალწულთა მარიაჲ! რამეთუ ძესა ღმრთისა-
სა ნებაჲს შობა შენგან გამოსახსნელად კაცთა.

ყოვლად წმიდა იგი თუძცა უღონოებდა მისა ღმრთისა შობა-
სა, გარნა ანგელოზმანვე განაძლიერა იგი და ჭრქვა: ნუ გეშინის,
ყოვლადწმიდაჲ; სული წმიდა იქმნების მოქმედი დიდისა საიდუმ-
ლოსა ამის, ღმერთსა რაღცა ესებოს ყოველივე სრულ იქმნების
(ლუკა. 1. 26). მამის სიტყვითა ამით განაძლიერდა ქალ-
წული იგი და მუცლადღოჲ ძე ღმრთისა სულისა მიერ წმი-
დისა, და შუა მაცხოვარი სოფლისა. ამისთვის წინასწარმეტყველმა
ისაიამ შთაგონებითა სულისა წმიდისათა წინათვე სთქვა: აჲ ქალ-
წული მიუდგეს და შვას ძე, და უწოდონ სასული მისი ემძანუილ,
რომელ არს თარგმანებით, ჩვენთანა ღმერთი. წინასწარმეტყველისა
თქმული ქალწული იყო ყოვლადწმიდა მშობელი იესო ქრისტესი
მარიაჲ, მით რომელ მხოლოდ იგი მიუდგა ქალწულებით მოქმე-
დებითა სულის წმიდისათა და შვა მაცხოვარი სოფლისა, და შემდგომად
შობისა ეგო და გიეს იგი ქალწულად. ემძანუილ, რომელ არს თარ-

გმანებით ჩვენთანა ღმერთი, არს შობილ მისგან ძე ღუთისა, მით
რომელ იესო ქრისტე არს ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კა-
ცი, ესრეთ რომელ ძე ღუთისა ზეციდგან გარდადოვიდა, და კაცი
ესრეთ, რომელ ძემან ღუთისამან სოცრი კაცობრივი შესსსა ღუ-
თაებასა თჳსსა და იშვა ქვეყანასა ზედა ვითარცა კაცი; და ესრეთ
რადგანაც შეერთდა ღმერთი და კაცი ერთად, ამისათჳს უწინვე
სთქვა წინასწარმეტყველმან ზირითა ღუთისათა, ქალწული შობს
ემმანუილსა, რომელ არს თარგმანებით ჩვენთანა ღმერთი
(მათე 1, 23).

კაცობრივი სოცრი იგი რომელიცა ქონდა შეერთებული ძესა
ღუთისასა ქალწულისა მარიამისაგან, შესწირა იგი მსხვერპლად ღმერ-
თსა და მამასა თჳსსა კაცთა ნათესავისა გამოსასსნელად; ესრეთ რომ-
ელ თჳთ ნებითა თვისითა მისცა თავი თჳსი სჯიმართლად დასაკლავად
ჟჳრისა ზედა (იოანე. 10, 17. 18), და ესრეთ ჩვენისა ცხოვ-
რებისათჳს თავს იღვა მან დაკვლა ჟჳრისა ზედა ვითარცა კრავისა,
სიკუდილი და დათუღვა (რომაელთა. 5, 8). ესე ყოველივე იმრქმე-
და ძემან ღუთისამან კაცობრივ და არა ღუთაებრივ. გარნა ღუთა-
ებით შევიდა ჯოჯოხეთსა შინა ვითარცა ღმერთი, სძლო ემძაკსა შე-
მაცდენელსა კაცისასა, დაქცია ჯოჯოხეთი იგი, რომელსა შინაცა იუ-
ვნენ სულნი გარდაცვალებულთანი შეხურობილნი დროიდგან ადამის
ცოდვისა, განსსნა იგინი და განუტკვნა, აღსდგა მესამესა დღესა და
აღმორიყვანა ყოველნი მოწმუნენი მისნი ადამ და ევანთანა. და მისცა
ყოველთა სასუფეველი თჳსი უდიდესი და უდიდებულესი მისსა, რომ-
ელი აქჳნდა ადამს ზირველ სამოთხესა შინა და ესრეთ შესრულდა
ზირველი სჯიმართლ განგებულება ყოველად წმიდისა ქალწულისა მა-
რიამისაგან და მისგან შობილისა იესო ქრისტესაგან.

შემდგომად მისსა არღარა მეუფებს ჭეშმარიტთა ქრისტიანეთა
ზედა არცა სიკუდილი, არცა წყევსა, არცა ემძაკი, და არცა ჯოჯო-

სეთი; და ვითარცა კაცმა ადბეჭდოს საქონელი თუხი ბეჭდითა თვისითა რათამცა შეძგომად ადვილად შეიძლოს ცნობა მისი და რათამცა სსრუამან აღარ მიიხეძოს იგი თუხად, ეგრეთვე ძემან ღრთისამან დაგებულად ბეჭდითა თუხითა, ესე იგი ნათლისღებითა და მიწონცხებითა, რათამცა არღარა გვეუფლოს ეშმაკი პირველის ადამის ცოდვის ძლით, და რათამცა ბეჭდითა მით გვიცნობდეს იგი მოწმუნედ და მეძვიდრედ სასუფეველისა თვისისა. სოლო რომელნიცა არა არიან დაბეჭდილნი ბეჭდითა იესო ქრისტესითა, ესე იგი ურიანი, თათარი და სსრუანი მსგავსნი ამათნი, იგინი არა არიან მეძვიდრენი სასუფეველისანი, და ვერცა იხილვენ ნათელსა. იესო ქრისტემ უკეთუძცა აღმოიყვანა ჯოჯოხეთიდან მრავალნი, მაგრამ არა ყოველნი, არამედ მხოლოდ მოწმუნენი მისნი და რომელნიცა სარწმუნოებით მიელოდენ მისვლასა მისსა, ეგრეთვე თათარი ურიანი და სსრუანი მსგავსნი ამათნი უხჯულოებისა და ურწმუნოებისა მათისაგამო დარჩნენ კვლად ეშმაკის მიფლობელობასა ქვეშე ადამის ცოდვის ძლით (ლანკ. 3. 9); ამისათვის ვერ იცნობს მათ ძე ღრთისა მეძვიდრედ სასუფეველისა თვისისა, არამედ ეტყვის მათ ოდესაც მოვალს განსჯად ყოველთა კაცთა: წარვედით ჩემგან წყეულნი, არა გიცნი თქვენ, და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა (მათე. 25, 41. 46).

ძმანო ჩემნო! ოდესაც კაცი დაკარგავს ქონებასა თუხსა ნივთიერსა თუ სულიერსა, მეცადინობს მოხრებასა მისსა, და ოდესაც იზოვის, მას აქრს დიდი სიხარული, და შეძგომად ახის და ათასის წილად უმეტესად გაუფრთხილდება პირველსა, მისთვის რომელ ეშინიან რათა არღარა დაკარგოს იგი.

ეგრეთვე ჩვენ ძმანო, ადამ და ევამ უხმისა ეშმაკსა, არღარა აღახრულეს სჯული ღრთისა, და მით დაკარგეს სამოთხე და ანგელოსებრივი ცხოვრება, ვითარცა თავისა თუხისა თუხ, ეგრეთვე ჩვენ

ყოველთაოთ; გარნა გუთსეულ არს ღმერთი! მოვიდა საეკარელი
ძე მისი იესო ქრისტე ქვეყნასა ზედა და მან კვალად მოგვიზოვა
იგი. და აწ იყავით ფრთხილად და ძღვიძარედ, რათამცა არღარა
დაკარგოთ იგი. წყეულმან ეშმაკმან შეიშურვა ადამის სამოთხეში
ყოფნა, და მისთვის არღარა აღსრულებისა სჯული ღმერთისა, და მით
დააკარგვისა სიწმიდე თვისი და ანგელოზებრივი ცხოვრება. და ახ-
ლა ჩვენთვისა შურს შემკვიდრება სასუფეველისა, და სარწმუნო-
ება, რომელიცა ვაქნეს იესო ქრისტესზედ, და კვალად ცდილობს
ჩვენზედაცა, რათამცა შეგვაცდინოს და ბეჭედი იგი იესო ქრისტესი,
ესე იგი ნათლისღება და მიწონცხება აღკვანოცინოს ჩვენ, და
მით კვალად მიგვიზიდოს თვისად, და წარგვწყმიდოს ჩვენ. მაგ-
რამ ჭეშმარიტსა ქრისტიანებს ვერ მივასლება იგი, არამედ ეშინი-
ან მისი. პირველად მით რომელ ჭეშმარიტსა ქრისტიანებს აქნეს
სსოვა მარადის გულში იესო ქრისტესი, და ყოველთვის ღა-
ცულობს და ადიდებს მას; მეორედ მისთვის რომელ უჭირავს ჯრუ-
რი იესო ქრისტესი ხელსა შინა თვისსა მასვილად და უკეთუძცა მი-
ვასლების შესაცდენათ ეშმაკი, მასმინ გამოისახავს სარწმუნოებით მარ-
ჯვენითა ხელითა ჯრუარსა მას, ვითარცა არს ჩვეულება ქრისტიანო-
ბისა, და მით წარგვეთავს გველისა თავსა მისსა.

სოლო თქვენ, ძმანო, უკეთუ სიტყვით იტყვიოთ თავსა თქვენ-
სა ჭეშმარიტ ქრისტიანედ, გარნა საქმით არს სართ სრულნი ქრი-
სტიანობისა ზედა, მით ქრისტიანობა თქვენი არს არს ჭეშმარი-
ტი. უკეთუ სართ ქრისტიანენი, საქმესაცა ქრისტიანობისასა იქმო-
დეთ, მაგრამ ეშმაკი არს ფრთხილ დახსლოვებულთ თქვენთან უსჯუ-
ლანობისაგან თქვენისა და იგი არს გიტყვებს თქვენ, რათამცა
აღსრულეთ ქრისტიანული წესი; და ამისთვის სართ მარადის ცო-
დვასა შინა, და ცოდვასა ვინცა იქმს, იგი ეშმაკისაგან არს. (1. იოან-
სე. 3. 7). სხუთა ცოდვათა გარდა უდიდესი ცოდვა თქვენი არს იგი,

რომელ კვირადღე და დღესასწაულნი დღენი არა იცით, ვითარცა ადამს
მისცა ღმერთმან სჯულად არა ჭამა სისა მის ნაყოფი, რომლისა-
განცა იცნობდენ კეთილსა და ბოროტსა, ეგრეთვე შედგომად ღმერ-
თმან სხუათა მცნებათა გარდა მოგვცა სჯულად ჩვენ, ესე იგი ექვ-
სი დღე იმუშავე და ქმენ ყოველივე საქმე შენი, და დღე მეშვი-
დე (კვირა) არს უფლისა ღმერთისა შენისა, და წმიდა ღვთა იგიო: არა
იმუშაოვს დღესა ამას არცა კაცმან და არცა ქალმან, არცა ერმამან
და არცა მონამსახურემ, არცა სასყიდლით დადგინებულმა მუშამ და
არცა პირუტყვთა (გამოხვლათა 6. 8; 9 და 10); და სხვანი
წმიდანი დღესასწაულნი, იესო ქრისტესი და ყოვლადწმიდისა მშო-
ბელისა მისისა, არიან დაწესებულნი სადადებულად მათდა. ამისთვის
რომელ დღესასწაულნი მათნი არიან სხნისა და ცხოვრებისა ჩვენისა
სა მიზეზნი. მაგალითებრ, ჩვენ ჭკუძარიტნი ქრისტისანი კდღესას-
წაულობთ დღევანდელსა ამას დღესა ყოვლადწმიდისა ქალწულისა
მარიაძის ტაძრად მიყვანებასა, ამისთვის რომელ დღესა ამას იქმნა
დაწეება საღმრთო განსებულების აღსრულებისა, მით რომელ დღე-
სა ამას დაიწინდა ღმერთმან ყოვლად გურთხეული იგი სძლად თვსად,
რათა მისგან იშვას საყვარელი ძე მისი გამოხასხსნულად კაც-
თა. და კვლად იესო ქრისტეს დღესასწაულსა, ესე იგი შობასა
კდღესასწაულობთ მისთვის რომელ, რომელმანცა ადამი და ევა გან-
დევნა სამოთხიდგან, იგივე ასულისა მათისგან დაიბადა—სამოთ-
ხიდგან განდევნილისა კაცის შერიგებისათვის, პირველის წყევის გურ-
თხევად შეცვლისათვის, სიკუდილის ძალის დასხნისათვის, ეშმაკის ძა-
ლის განქარებებისათვის, ჯოჯოხეთის დაწვევისათვის, და სოფლის
კვლად სასუფეველად შეევანისათვის. და სხუანიცა დღესასწაულნი ვი-
თარცა იესო ქრისტესი, ეგრეთვე ყოვლადწმიდისა ღმერთის მშო-
ბელისა არიან ეგრეთვე ცხოვრებისა ჩვენისა მიზეზნი. და ამის-
თვის ვითარცა ღმერთისგან, ეგრეთვე წმიდათა მამათაგან აღკრძალულ

ან მუშაობა კვირადღეთა და დღესასწაულთა დღეთა შინა, მიხ-
თვს, რათამცა დღეთა ამათ შინა თავისუფლად და დაუ-
ხრკოლებელად კაცნი მოიგონებდენ ღმერთსა და მის კეთილმოქ-
მედებსა კაცთა ზედა, მივიდოდნენ ეკლესიასა შინა, ადიდებდენ
ღმერთსა და მადლობდენ მას, ჰირველად მიხთვს, რომელ მან შეგვ-
ქნა ჩვენ, და მოგვცა ქვეყანა ესე საცხოვრებელად ჩვენდა; მეორედ
მიხთვის რომელ უკეთუ დაგვხვას ღმერთმან ადამის ცოდვისათვის,
განსა ანა სრულიად გვიტყვას ჩვენ, ანამედ მოწყალებისაგან
თქვისა მოაკლინა ქვეყანასა ზედა მსოფლოდმოხილი ძე თხსი და
მან კვლად გვიხსნას ჩვენ.

სოლო თქვენ, ძმანო ჩემო, მოგიწოდებთ თქვენ ძეგული
კვირადღეთა და დღესასწაულთა დღეთა შინა რეკითა ზარისათა სა-
დიდებელად ღმერთსა და სახმენელად ლიტურგიისა, და თქვენ ანათუ
მოხვალთ ეკლესიასა შინა, ანამედ განიხილოთ სამუშაოდ ანუ სხედ-
სართ უხანთა ზედა და იტყვიით ღმერთსა ანა სასიამოვნოსა სიტ-
ყვასა. ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ, რომელ ამათ ყოველთა იქით
შთაგონებითა ეშმაკისათა, ჭყავსართ წყულისა მას შეპყრობილნი
ვითარცა ტყვე, და არღანა გიშეებთ იგი სადიდებელად ღმერთსა,
მიხთვს რომელ სურს რათამცა სრულიად დაგავიწყებინათ ღმერთი,
მივიზიდეთ თხსდა და წარგწყმიდეთ თქვენ ვითარცა ადამი.

ჰი ძმანო! განიფრთხილეთ და განიღვიძეთ, სცანთ სიბრძნე
ეშმაკისა და ნუ სრულიად მიხტვით თავსა თქვენსა მას, ანამედ
განავლეთ წყუელი იგი; სჯულისა ღმერთისასა ნუ შეუჩაცხვეთ,
ანამედ გულს ამოდგინედ აღასრულეთ იგი, და ღმერთმან, რომე-
ლიცა დღე მოგცათ სამუშაოდ თქვენისა ცხოვრებისათვის, იგი იყავს
საკმაროდ თქვენდა; მცირედი მუშაობა სჯობს სიძარბით, ვიდრე
ძრავასა მუშაობასა უხეულობით. სოლო კვირადღე და სხუანი
დღესასწაულნი დღენი დაიტყვიით წმიდად, სადიდებელად ღმერთსა,

მსოფლად დღეთა მათ შინა სვიდოდეთ ეკკლესიასა შინა, ადიდეთ
ღმერთი თქვენი და შემომქმედი თქვენი და მიეტოთ მადლობა მას,
რამეთუ არა სრულიად მიგცნა თქვენ სასჯელსა, არამედ კვალად
შირველ სადმოთოდსა განგებულებისაებრ გამოგისხნათ თქვენ ჰერ-
ველისა ცოდვისა, წყევლისა და სიკუდილისაგან; შემდგომად იხმინეთ
გითსვა სასარებისა და იუწყეთ თუ რასა განარებთ მე ღმერთისა
თქვენისა ცხოვრებისათჳს; მეცმე სიხარვეთ ღმერთსა საჭიროება თა-
ვისა თქვენისა, ვითარცა სოცისათჳს, ეგრეთვე სულისათჳსცა. თჳთ
იხარ ქრისტემ აღუთქვა მოწმუნეთა თჳსთა: რაცა ითხოვოთ სა-
ხელითა ჩემითა იგი ვერ, რათა იდიდოს მამა ძისათანა. თქვენ
ძინთჳს ნუ ზრუნავთ, თუ ყოველ-დღე ვიმუშავოთ და საზრდო
შევიძინოთ; რადესც თქვენ აღასრულებთ სჯულსა ღმერთისასა ვითარ-
ცა არს ქრისტეიანული წესი, მაშინ თჳთ ღმერთი იზრუნავს თქვე-
ნისა ცხოვრებისათჳს და მოგანიჭებსთ ყოველსა კეთილსა ვითარ-
ცა სოცისათჳს, ეგრეთვე სულისათჳსცა. და რადესც გამოხვიდეთ
ეკკლესიიდან სსრათაცა აწავებდეთ მას, რადენი გესმათ ეკკლესი-
ასა მას შინა სიტყვა სასარებისა, და მოძღვრება სულიერისა
მამისა თქვენისაგან, ესე იგი ძღუდლისაგან, რათამცა მით გამოხხნ-
დეთ სათნო ღმერთისა და მიიღოთ მოტევება ცოდვათა თქვენთა. ამინ.

ძღუდელი ალექსი ჯახურავი.

ს ი ტ ე ჭ ა

დღესა წმიდისა მთავარ-მოწამისა და ძლევა-შემოსი-
ლის გიორგის სსენებასა სედა.

ყოველივე შესაძლებელი არს
მორწმუნისა (მარკ. თ, ვგ)

ჩუჭნ დროს, როდესაც ასე მოუძღურდა მტკიცე და შეურყე-
ველი სარწმუნოება, როდესაც ვიეთთამე ბრძენთა ამა საუკუნოდათა
თითქმის სარწმუნოების სსენებაც სათაკილოდ მიაჩნიათ, უკველია,
რომ ამასთანავე სასწაულების ღირსებაც უნდა შემცირებულყო.
რადგანაც სასწაულნი არიან მხოლოდ მსურველ და შეურყევლის
სარწმუნოების ნაყოფნი; ამას ცხადად გვიმტკიცებს უფალი ჩუჭნი
იესო ქრისტე, როდესაც იტყვის: „ყოველივე შესაძლებელი არს მო-
წმუნისა“: მამასადაც, ურწმუნოსათვის ყოველივე შეუძლებელია. წმი-
და ეკლესიაცა, აღასრულებს რა დღეს სსენებასა ღუაწლთა და სას-
წაულთა მთავარ-მოწამის და ძლევა-შემოსილის წმიდის გიორგისა-
თა, მით ცხადად გვიჩვენებს ერთი მხრით ძალსა სარწმუნოებისა,
ხოლო მეორეს მხრით — ურწმუნოების უძლეობასა. დასამტკიცებე-
ლად ამა სიტყუათა ჩუჭნთა და სამოდღურებელად ჩუჭნდა, წარმო-
ვიდგინოთ აქა ცხოვრება მოწამისა მის ქრისტესისა, რომლისა ღუა-
წლთა და ვნებათა მადიდებელნი ძარად ყოფილან განსაკუთრებით და
არიან ყოველთვის საქართველოსა ერნი.

აი, რას მოგვითრობს წმიდა ეკკლესია: მძინვარე მწვალებელის დიოკლიტიანე რომთა მეფის ჯარში იყო ერთი ათასის თავი სასულად გიორგი, კეთილშობილის შთამომავლობისა, ხასით მშვენიერი, მსნე და მკვირცხლი მამაცი, განსწავლული ყოველთა იმა დროების სამეცნიერო საგნებითა. ის დედამამისაგან სიყმაწვილითგანვე იყო აღზრდილი ქრისტიანობაში, და თუმცა ემსახურებოდა წარმართთა ამხანაგებთა თანა, მაგრამ არათუ არა ჭიკაძავდა თავის რჯულსა ანუ არ მიიღებდა იმათში მონაწილეობასა, არამედ არას კანონს არ დააგდებდა აღუხრულებლივ, რასაც კი ქრისტიანობრივი სარწმუნოება მოითხოვდა. ერთ დროს გიორგი, მოთმინებიდგან გამომხული მწვალებელის მეფის უღმრთოებით და უხჯულ ყოფაქცევითა, — წარსდგა კრების წინ, სადაც იყო თვით მეფეც თავის კარის კაცებითა და დაიწყო თქმაჲ სრულის გაბედულობით: „ჰი, მეფეო, და მხაჯრულნო უმღრთონო! თქუწნი უგუნურის რისხვთ, როდემდის უნდა ჭხდევნიდეთ უბრალოთა ქრისტიანეთა; თქუწნი კერზნი ღმერთნი არ არიან, ნუ სცთებით სიცრუითა, ყოველივე ქრისტიანეთა ღმერთმა შექმნა და ყოველსა იგი განაგებს, ან თქუწნც ირწმუნეთ იგი, თუ არა და სხვათათჳს მაინც ნუ სმავთ კარსა სასუთეველისა-სა“: დიდხანს აწკეკდა მეფე გიორგის, რომ ეგძო ქრისტიანობა, მაგრამ კერატურით დაიყოლია. ბოლოს უბრძანა მსუდართა, რომ მუბების წვერებით განსდევნონ კრებიდგან და შესვან საზღვრობილქში.

მსუდართა წარიყვანეს და ოკებს შებოროტებულნი დაამწყვდიეს საზღვრობილქში. მეორე დღეს მეფემ მოუწოდა და ჭკითხა: “გიორგი, შეინანე შენი გმობა, თუ ისევ მაგ შეტომამში ხარ?” მოწამემ უპასუხა: “იქნება გეგონოს სელმწიფეო, რომ ამ ერთი წუთის ტანჯვამ მე უნდა მაგმობინოს ჩემი ჭხჯული? იქნება შენ უწინ მოგაწვიინოს და დაიღალო ჩემი წვალებით, ვიდრემდის მე ტანჯვის დათმენით!”

მაშინ დეოკლიტიანემ ბრძანა თვლის მოტანა, რომელიც ავა-
საკებთანთჳს საწვალგებელად ქონდა გამართული, იმ თვლის ახლან
ქვეშ იყო ბრტყელი თიჯარი ზედ დარტყმული ლუწმეებით, იმათი
აშოშქურილი წვერები ემსგავსებოდა ზოგი შუბსა, ზოგი დანის პირ-
სა, ზოგი ხანგაღს, რიგი პირ და პირ იყო დარტყმული, რიგი
გვერდსკდ წასრით. მოწამე ტანისამოს განდილი დააკრეს იმ თვალ-
ზედ და ტრიალებს დროს ტანი იმისი სულ დაისერა და ნაწილ-
ნაწილად დაიკუწა; ხოლო წმიდა მოწამე ისრეთის გულს-მოდგენით
ლოცულობდა და ითმენდა, რომ ერთი რსკვინც არ აღმოუტეკა, —
როგორც სულ-მოკლეობის ნიშანი. უსჯულო სელმწიფემ შერაცხა
მოწამე უკვე მკუდრად და სისარულით შესძახა: „გიორგი, ახა სად
არის ღმერთი შენი, ახა რატომ არ გამოგისხნა ამ წვალგებისაგან?“,
ამ დროს დაბნულდა ჭიკრი და მოისმა საზარელი ქუსილის მზგა-
ვისი სმა ზეცით; განქარდა რა ბნელი და მსწრაფელ გამობრწყინდა
ნათელი, ანგელოზი უფლისა მშვენიერი ბრწყინვალე სახით და სჳე-
ტაკის ტანისამოსით დასდგა შორის თვლისა, აგრილებდა თრთითა
მოწამესა და ეტყოდა „გინაროდენ:“ როდესაც მასარობელი უფ-
ლისა უხინარ იქმნა — მოწამე გარდამოვიდა თულიდგან სრულიად უგ-
ნებელი და განკურნებული, — და ძაღლობა შესწირა ღმერთსა, რომ-
ელიც იდიდების წმიდათა შორის თჳსთა! მხედართა სწრაფად მო-
ახსენეს მეფეს რაღცა მოხდა, ამ დროს მეფე ლოცულობდა კერზ-
თა ტამარში, იქვე წარსდგა წმიდა მოწამეც მეფის წინ. ამ საკვირ-
ველი სასწაულის ხილვით მოიქცნენ იმ წამსვე ქრისტეს საწმუნო-
ებაზედ ორნი მეფის წარხინებულნი პირნი და კერზთა წინაშე აღი-
დეს ჭეშმარიტი ღმერთი; — განძვინებულმა მეფემ ბრძანა, მუისვე
შეზერობა მათი და გარე ქალაქისა თავთა წარჭკვეთა; მრავალთა
სხუათაც იწმუნეს ქრისტე, ხოლო შიშისათჳს ვერა ჭბედავდენ ცხა-
დად აღეარნათ მაცხროვარი.

აი, ძმანო ქრისტისნენო, საწმუნოების საკლუდეკანება! მწკა-
ლებელმა მეფემ ბრძანა, რომ წარიყვანონ წმიდა გიორგი და შთა-
გდონ საკირქში, და იქ იმყოფებოდეს სამს დღეს. — გიორგიმ
ილოცა გულისმოდგინედ მაცხოვარი, დაიწერა ჰირ-ჯუარი და შემ-
დგებ დაემოწილა მეფის ბრძანებასა. მსწრაფლ მსედართა შეუკრეს
სელ-თეხი და შთაგდეს საკირქში; მოწამემ არა სცოდა ზავითა
თხითა, არამედ ამას ყოველსა ზედა უხაროდა და აღიდებდა ღმერ-
თსა. მესამე დღეს მეფემ ბრძანა რომ ამოიღონ საკირიდან გი-
ორგის ძვლები, ეგონა რომ სხეულს უკვე დასწომდა კირი. გამა-
ლეს რა კირი, იხილეს მოწამე ცოცხალი და უვნებელი, სელ-გან-
ჰურობით მდგომარე და მადიდებელი ღმერთისა. მამის მთელმა იქ
მყოფმა ერმა აღიარა და იწმუნა ღმერთი გიორგისა. სოლო გან-
კვირვებულმა მეფემ მოუწოდა მოწამეს და ჰკითხა მას: „გიორგი,
კინ მოგანიჭა შენ მაგისტანა ძალი და მადლი; კვითხარი ჩუწნცა,
რა მანქანებით იქმ მაგ განაოცართა საქმეთა?“ — ღმერთი უფალი,
უზახუსა გიორგიმ, ჩემებრ იხსნის ყოველთა მსახრებელთა და მოწ-
მუნეთა მისთა, მაგრამ რადგანაც ეშმაკის საცთურს ისე დაუბნე-
ბია შენთხს განება, რომ ჩემი ღმერთის სასწაულებს მანქანებს
უწოდებ, მამ არც მე გაგხდი ზახუსის ღირსსა და არც გეტყვი კი-
თარითა ძალითაც ვიქმ ამა საქმეთა“!

დეოკლიტიანემ კვალად ბრძანა, რომ მოიტანონ რკინის თვეს-
საცმელები, რომელშიაც ძირიდან განგებ ჩარჭმული ლურსმების
გრძელ გრძელი წვერები ამოშვეროდა, — ბრძანა რომ გაახურონ
ცეცხლში, ჩააცონ მოწამეს და ისე წაიყვანონ საზურობილში. ამ
ღროს როდესაც ესე ყოველი აღსარულეს და მიჰყვანდათ მოწამე
წვალებითა და ცემითა — უხჯულო მეფე მისძახოდა დაცინვით მას,
„გიორგი, გიორგი, რა კარგი მარდი მოხიარულე ხარ“! სოლო
მოწამე ეკედრებოდა ღმერთსა, რომ მიუტეოს მის მწკალებელთა,

რომელთა აზრის რასა იქმან. როდესაც შეიქვანეს სახეობილესი გიორგი მოუძღურდა სხეულთა, უანგარიშო წყლულებისა გამო, სოლო სულთა გამსწევდა და განძლიერდა. ეს ღამეც ღოცვაში და კედრებაში გაატარა, მეორე დღეს სრულიად უვნებელი და მრთელი შეიქმნა და კიდევ წარუდგინეს მეფეს; მაშინ მან ბოროტმა მწვალებელმა ჭკითსა დაცინებით: „გიორგი, როგორა ხარ, სომ კარგათ მოგეწონა გუშინდელი თვისთესებელი, ესლა მაინც დაუტევე შენი ჯიუტი კადნიერება, იყავ მშვიდი და მოჩილი, დაანებე თავი შენს გრძნეულს მანქანებას და თილისმობას. შესწირე მსხვერპლი ჩემს ღმერთებს, თორემ დიდის წვალებით და ტანჯვით დაასრულებ შენ სიტყვსებს.“ მაშინ წმიდამ — მიუგო: „მართლა საკვირველია რომ ღმერთის ძალს გრძნეულ მანქანებას ეძახდნენ, სოლო ეშმაკეულ თილისმობით კი ურიცხვად იქადოდნენ და ამჰმარტავნობდნენ! ამ სიტყვებზედ განრისხდა მეფე და ანთო ცეცხლივით, ბრძანა, ჯერ სულით დაწვებში ტემა მოწამისა და შემდეგ ხარის ძარღვებითა, ასე რომ სოცის ნაწილნი შესერილნი სისხლითა სტვიოდენ დედამიწაზედ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოწამე უვნებელი და მრთელი შეიქმნა. მაშინ უფრო დააჭკმძარტა მეფემ, რომ გიორგი ვითომც გრძნეულებით იქმს სასწაულებს. ამ დროს ერთმა მინეულმა პირმა მოახსენა მეფეს: „რას შეწუხებულ ხართ მეფეო, თუ ეგ გრძნეულია, — ჩუწნცა გვეავს ერთი ფრიად დასელოვნებული მოთილისძე და ჯადოხანნი, თუ გვიბრძანებ მოვიყვანთ იმასაც და კიდევ დაამარტებს გიორგის სელოვნობასა!“ როდესაც ის ჯადოხანი მოიყვანეს მეფემ უბრძანა: „სომ გაიგონებდი რა საქმეებს ჩადის გიორგი და თავის თილისმებით სულ გვარცხვენს ეველას, ესლა ასეთი დონისძიება ისმარე, რომ მიიღოს ღირსეული სატანჯველი და სიკუდილი, სამაგიეროდ რაც მაგან ჩუწნ ამდენი ხანი შეგვაცდინა.“ გრძნეულმა აღუთქვა მეფეს, მეორე დღესვე აღუხრულოს ეოველივე.

იმ ღამეს მოწამემ უფრო გულმოდგინებით ილოცა საზურგობილქში.

დილით მეფე დაწესდა ძალაღს ადგილს თავის კრებით, ამით წინ წამოდგა ჯადოხანიც და თავმოწონებით აჩვენებდა იქ მყოფთა თავის თილისმურ საწამლაკებს. მოიყვანეს რა მოწამე უთხრა მეფემ, რომ დააღუპინონ მას თილისმური საწამლაკები. მშვიდობიანის სახით ახსენა რა მოწამემ სახელი უფლისა იესო ქრისტესი, მიიღო საწამლაკი, მაგრამ დაშთა, როგორც კულაკ, სრულიად უვნებელი. განკვირდა მეფე და მასთანა მყოფნი, ხოლო მეტადრე გრძნეული ხელახანი, ჭსტყურებდა განკვირებით ქრისტეს მხედარსა. მამინ განძვინებულმა მეფემ დაიწყო: „გიორგი, შენი მანქანებითა და თილისმებითა როდემდის უნდა გვაკვირო, ვინი ძალით ჭხადიასარ მავ საქმეებსა, გვითხარი, ჩვენ ხალხით მოვიხმენთ,“? წმიდამ მიუგო: „ძრელებსა ჩემი არს ქრისტე, რომლის ძალითაც უძლეულებში უფრო ძრეელი შევიქმნები; კაცთა მიერ შეუძლებელი ძღუთისათვის შესაძლო არს, ნუ გიკვირთ ესე, იწმუნეთ იგი და არა თუ ქმნათ ხალხსა უღნი, რომელთა მევიქმ, არამედ უდიდესნიცა ამისა (1), რამეთუ ქრისტე ბრძანებს: მოწმუნისა ყოველივე შესაძლებელი არს, ამისთვის არა მეშინის მათგან, რომელთა ძალუძსთ მოხწევიდონ სოცრი, ხოლო ხულისა ვერ ხელმწიფების მოკვლად, რამეთუ არცა ერთი თმა თავისა ჩემისა არა წარწყმდება. და დაცათუ სასიკჳდინე რამე შევხვას არა რამე ვენახ მე, რამეთუ უფალი ჩემი ჩემთანა არს ამიერიდგან და უკუნისამდე.“ (2)

კეთილგონიერნო მსმენელნო, აი მხურვალე და ღირსი მი-

(1) იოანე 14. 12. (2) მათ. 60. ლუკ. 21. 18.

ბაძვისა სარწმუნოება, აი ამისთანა მოწმუნისათჳს იტყვის უფა-
ლი: ყოველივე შესაძლებელ არს მოწმუნისა! „მაშ მკვდრის აღდ-
გენით დაგვიტკიცე, უბრძანა მეფემ, რომ ღმერთი შენი ყოვლად-
შემძლებელია. “ღმერთი ჩემი უზახუსა მოწამემ, რომელმან ყოვე-
ლივე არა რამისაგან შექმნა, გამოახენს ჩემ მიერ ცოდვილისაგანაც,
მაგ სახწაულსა, მაგრამ თქუნი უსჯულოებისაგან გარყვნილი გული
ვერ იწმუნებს მას; “წარმოხტე რა ესე, მაშინვე დაიხრქა მკუ-
დრის სათლავსედ, რომელიც იყო ქალაქს გარეთ, ადიდა ღმერთი
და შესთხოვა უფალს, რათა არა უკუნაქტიოს ძადლი თჳსი უღირ-
სისა მონისაგან, არამედ მოუვლინოს ძალი მკუდრის განცხორველ-
ვისა და აღდგენისა; როგორც რომ დასრულდა გულსმოდგინე
ლოცვა მსწრათელ შეიწყია დიდის სმით სათლავი, ყველანი იქ მო-
ფნი შეკრთენ, თავის თავად აღმოიწია ძალა კუბომ, გარდაეს-
და თავი და მსწრათელ წარმოდგა თქვსედ განცხლებული მკუდარი,
რომლის სიკუდილის და დასათლავების დამსწრენი და მოწამენი
მრავალნი იდგენ იქა. სალსი იყო განცვიფრებაში, მრავალნი მო-
იქცნენ და ადიდებდნენ ღმერთსა წმიდის გიორგისასა. მეფეს აღ-
დგენილი კაცი ჯერ მანქანებითი მოხვენება ეგონა, მაგრამ როდე-
საც ისიცა და იმათი გამოჩენილი გრძნეული სელახანიც დაემსვენ
წმიდა მოწამის თქვსეკემ და აღიარეს ქრისტე; მაშინ მეფემ ბრძანა
სახტიკად გაეყანა ქალაქს გარეთ და თავის მოკვეთა მათი. სოლო
მოწამე შეიყვანეს კიდევ საზერობილეში, ვიდრე უძმკინვარეს სატან-
ჯველს მოიგონებდნენ: წმიდა გიორგიმ საზერობილე თითქმის ეკ-
კლესიად გარდაქცია, უფრო და უფრო უმატებდა ლოცვასა და
სარწმუნოებასა, და სთხოვდა უფალს რათა მიიღოს სული მისი:
მრავალგვარნი შეიწრებულნი და ბედისაგან დახაგრულნი კაცნი
მოდიოდნენ ჩუმათ საზერობილეში მოწამესთან და დაუყონებლივ
მიიღებდნენ სუტკუსა და კურნებასა სულიერსა და სოცრეელსა. მე-

ფებს დასხმინებს რომ გიორგი ვითომ აშოფოთებს და რჯულს აგ-
მობინებს სალსსა. უსჯულთ მწკალებელმა ბრძანა მეორე დღესვე
სრულ ჭყონ სასჯელი მოწამისა. იმ დამეს, ლოცვის დროს, გამო-
ეტყდა ანგელოზი გიორგის საპყრობილესი, დაადგა თავსედ ბრ-
წყინვალე გვირგვინი და უთხრა: „ნუ გეშინის გიორგი, ანამედ
მსნე იყავ და განძრეულდი, მალე ეღიწები ჩემთანა სასუფეველსა
ღუთისასა; მეორე დღეს მოაყვანინა მეოვე მოწამე და უთხრა:
„გიორგი, ჭხედავ რა კაცთ-მოყვარე და თავდაბალი ვარ, რომ ეს-
ოდენ შენ წინააღმდეგობას ვითმენ? ჩემ ღმერთებსა ჭკოვიცავ, რომ
ვერ ვიმეტებ შენ ჭახუგობას და მენანება შენი სიმშვენიერე, გონი-
ერება და მამაცობა; მზათა ვარ ესლავ გაგიყო ჩემი სამეფო, თუ-
კი მოიქცევი ჩემს საწმუნოებასედ. “მეოვე, უხახუსა მოწამემ, აქა-
მდინაც რატომ ეგრე არ მექცეოდდი, რათ მომეპყარ ძრისსანედ?
მეოვეს ეგონა დაიყოლია მოწამე რჯულის გამოებასედ და მსწრათულ
შეუძღვა კერპების ტაძარში. წმიდა გიორგი მივიდა და უთხრა ერთს
კერპთაგანსა: “ითხოვ ჩემგან რომ მსხვერპლი შემოგწირო, რა-
გორც ღმერთსა? ეშმაკმა რომელიც იყო კერპში სასარლად შექყვი-
რა: “არა, არც მე, და არც სსჟანი ჩემი მსგავსები, ღმერთნი არ
არიან, ჩუწნ ვართ ეშმაკნი და ვაცდუნებთ სალსთა; წმიდამ უთხრა
მალლის სმით: „მამ როგორ გაბედე შენ კიდევ აქ დარჩენა, რა-
დესაც შემოვიდა აქ მსახური ჭეშმარიტისა ღუთისა“? ამ სიტყვა-
სედ შეიქმნა დიდი გოდება და სმაურობა ტაძარში, რომლისაგანაც
კერპები სულ პირქვე დაემსგნენ და შეიმუსრნენ.—ამ დროს სასტი-
კად განრისხებულმა და ვაცოფებულმა მეოვე ბრძანა თავის მოკვე-
თა მოწამისა, მეტადრე რადგანაც იმის ცოლმა ალექსანდრამაც იქ-
ვე ირწმუნა ქრისტე, და თავი შესწირა მას. მოახლებულ-იყო ესაძი
მოწამის განსვლისა ამიერ სოფლით, ამიტომ როდესაც მოჭკვეთეს
თავი, მიახარა თავის უმანკო სულიცა ღმერთსა, რომელმაც მტკი-

ცე და მსურველ სარწმუნოებისათვის ესე-გითარითა სასწაულებითა ღირსეულად აღიდა, რეგორც სიცოცხლის დროს, ისე შემდეგ მიცვალებისა. წმიდა გიორგი აღესრულა 303 წელსა ქრისტეს შობი-დგან, რეგორც მოგვითხრობს წმიდა ეკკლესია.

აი ძმანო, ქრისტეიანენო, რავდენი შეუძლიან მტკიცესა, მსურ-ვალებსა და შეურყეველსა სარწმუნოებასა? აი მაგალითი ღირსი მი-ბაძვისა, რომელიდგანაც ცხადად ჳხნანს, რომ მოწმუნისა ყოვე-ლივე შესაძლებელარს. უნდა გვიკვირდეს, გარნა არა უარ-კეთო, არამედ კეთილ-კრძალულებით დავნერგოთ ჩვენ გულშიაც თრიად შემ-ძლებელი ესე სარწმუნოება.

სოლო წმიდა გიორგი ასლაც არ დასცხრების მსურველ ლო-ცვისა და ვედრებისაგან სოფლისათვის; მარად უამს განმზადებული მუხი და ხელისაღმშურებელი არის ყველასთვის, რომელნიც კი სარწმუნოებით ითხოვენ მის შუამდგომლობას წინაშე ღმრთისა. ესე ყოველივე ნამდვილად იტოდნენ ჩვენთა წინაშართა და ამიტომაც თითქმის ყოველ მთაზედ და ბორცვზედ, მინდორზედ თუ მდი-ნარის პირზედ, ჭალაში თუ ტყეში, სოფელში თუ ქალაქში, ყო-ველგან უშენებიათ ეკკლესიები წმიდა გიორგის სახელზედ, რომელ-საც გვიმტკიცებს თვითონ ეს ტაძარიც, და მრავალნი სსრესანი ძველ-ნი თუ ახალნი ეკკლესიანი, რომელნი აღმართულარნიან საქართველოში.

ძმანო ქრისტეიანენო! მათ მივბაძოთ ჩუქნც, მათს შეურყეველს და შეურგულეუელს სარწმუნოებას და მარად უამს ვევედროთ ღმერ-თსა, რომ ლოცვითა და შუამდგომელობითა წმიდისა მთავარ-ამო-წამისა და ძლევა-შემოსილისა გიორგისათა გარდამოგვიკლინოს ჩუქნ კეთილ-დღეობითი ცხორება და საუკუნო ნეტარება. ამინ. (*)

აღექსანდრე თ რ მ ი ნ ი.

(*) თქმული ქაშუჭთის ეკკლ. 10 ნოემბ. 1864 წელსა.

ქ ა დ ა გ ე ბ ა

წმიდისა მოციქულისა თომასი ინდოეთს.



შემდგომად ამაღლებისა უფლისა ჩუწნისა იესო ქრისტესა და გარდამოსვლისა სულისა წმიდისა, რდესაც წმიდანი მოციქულნი წილ-იგდებდენ, თუ ვინ მათგანსა რომელსა მხარესა შინა უხმდა ქადაგება სხარებისა სხუფეკელისა ღუთისა, წმიდასა მოციქულსა თომასს გამოუხდა წილი, რათა აუწყოს სხელი იესოსი ყოველსა მხარესა ინდოეთისსა. ჭ უფლისა შეწევნითა ჭ ამა სარებისა სიტყვისა დამტკიცებითა რომელნი იგი შეუდგნენ სასწაულნი (მატთ. 16. 20), ქადაგებამ მისი არა დაშთა თუნორ მოქმედებისა. გარდამოცემამან დაიცვა ჩუწნთვს მოთხრობამ ჰირველ დაწყებითისა დანერგვისა ქრისტეანობისა და დამტკიცებისა იმა კელურსა მამინ მხარესა შინა. (*)

ბრძენსა განგებასა ღუთისსა აქუს ჩუწულებად არა დიდ-დიდითა საშუალობითა აწარმოოს დიდნი მოქმედებანი. ესრეთ იყო უამსაცა სარწმუნოების დანერგვისსა ინდოეთს. მოციქულის თომას წარსვლის შემთხვეულებამ ინდოეთს იყო შემდგომი:

ინდოეთის მეფემან სასელად გუნდაფორა, ინება აღგებად თავისა თხისათვს დიდ მშვენირთა სამეფოთა ჰალატთა, მსგავსად სასახლეთა, ვითარნიცა აქუნდათ რომის იმპერატორთა. მიხეზის ამის გამო წარავლისა მან ერთი ვინმე მდიდართა თხსთა გაჭარათ-

(*) იხილეთ თვენიში ცხლ. მოც. თომ. კ. რკდ.

განი — ანანა ჰალესტინედ, რათამცა მან მოიძიოს მუნ ერთი ვინმე გამოცდილთა სურათ-მოძღუართაგანი; რომელმანცა კმაყოფილ-ჰყოს სურვილი მისი. — ოდესცა მივლინებული მეფისაგან მიიწია კესარიად, მაშინ უფალი გამოუხნდა წმიდასა მოციქულსა ჩუქნებით და უბრძანა წარსვლად მხთანა ინდოეთს, რათამცა მუნ ქადაგოს სასარებად სასუფიქვლისა ღუთისა. წმიდა თამა უარის უთქმელად შეუდგა ბრძანებასა უფლისასა, ჭ უწოდა თავსა თვსსა წინამე ავანისა გამოცდილს სურათ მოძღურად ჭ წარჰყვა მას ინდოეთს.

მეფემან განისარა მისწულისა ზედა მის სურათ-მოძღურისასა ჭ უჩუქნა მას ადგილი, სადაც სურათა ქონებად ჰალესტინა, — განზომარა საფუძველი შენობისა და მისცა ოქრო და ვეტხლი დიდძალი შენობისათვის, თუთ წარემართა სსუასა მხარესა.

მიიღოარა ოქრო მეფისაგან, წმიდამან მოციქულმან განიზრასა ადგებად მისთვის ჰალესტინა არა განსწწნადთა და მსწრათულ წარმავალთა ქუჩუანასა ზედა, არამედ ხელით-უქმნელთა და საუკუნოთა ზეცათა შინა. ამ განზრახვითა მან მისცა გლასაკთა ყოველნივე იგი საფასენი, ხოლო თუთ იწყო შრომად სასარების ქადაგებითა და მრავალნი მოაქცივნა ქრისტეს სარწმუნოებისადმი და ნათელასცა.

შემდგომი ორისა წლისა, მეფემან მიუგლისა წმიდასა მოციქულსა მონანი — ცნობად, თუ ოდეს სრულ-ჰყოფს იგი დაწეებულსა შენობით ჰალესტინა. — „ყოველივე მუა არს, მხოლოდ დაშთომილ-არს დასურვად შენობისა, უზახუსა წმიდამან მოციქულმან,„ განისარა მეფემან ესრეთისა ამბავისათვის, და კუადაცა წარუგზავნა წმიდასა მოციქულსა ოქრო დიდძალი და უბრძანა განწყობა საბურავისა, შესაფერი დიდამშენიერისა მის შენობისა, და სრულყოფად ყოვლისა შენობისა შესაძლებელის სისწრაფით. მიიღო რა ოქრო წმიდამან მოციქულმან, შესწირა მადლობად უფალსა, რომელი იღვწის მრავლის სახით ცხოვრებისათვის კაცთასა, და კუადაცა მოიხმარა იგი

უწინდებულად, ხოლო თვით იწყო განკრძალვად სხსარების ქადაგებისა და მოქცევად შეტომილთა მართალსა გზასა ზედა სარწმუნოებასსა.

ამაჴმან მოქმედებათათჳს წმიდისა მოციქულისამან, მიაწია ცნობადმდე თვით მეთვისა. მეოვემან შერაცსა რა თავი თჳნი მოტყუებულად, წარავლინსა მონანი თჳსნი მოყვანებად თჳსდა წმიდისა თომასსა, რათამცა მოხადონ მას სიტყუჳ რქროდსათჳს და შეაყენონ სიკუდილსა. —

„აღშენებულ არიან ჰალატნი,“ — ეს იყო პირველი კითხვა მეთვისა წმიდისა მოციქულისა თომასადმი, რდეს იგი იქმნა მიუვანებულ მეთვისადმი. „დიად აღშენებულ არიან ყოვლის სელოვნებით და დიდ მშვენიერებით,“ მიუგო თომას. „ხად არიან იგინი?, ჴკითხსა კვალადცა მეოვემან,“ წარვიდეთ მიჩუწნე მე იგინი, მე მსურის სილკაჲ მათი,“ სილკად ჰალატთა მათ, მიუგებდა თომას, არა ძალგამს ამს ცხოვრებასსა შინა, შენ იხილავ მათ, რდესცა განსკალ ამიერიდგან, მაშინ დაემკვიდრები სინარულით, და იცოვრებ მათ შინა სეუკუნოდ.“ მშვიდი ჰასუსი წმიდისა მოციქულისა აღუხნდა მეოვეს კადნიერებად და საკიცხველად თჳსა. ესრეთსა რისხვასსა შინა არღარა უწყოდა, თუ რა უყონ მას, მხოლოდ ბრძანსა შეეყენება მისი სეჴრობილესა ერთად მომყვანებელისა მისისა აჴანისათანსა, ვიდრემდინ მოიფიქრებდეს მათთჳს გვარსა სიკუდილისასსა. მძინვარე სიკუდილი ელოდა წმიდასა მოციქულსა თანაჴყოფილითურთ. მეოვემან განახინსა გატყავება მათი და დაწვაჲ. და არღარა იყო ღონე განკლტოლვად წინამდებარისა შიშისაჴან. გარსა სედაც ძალნი კაცობრივნი უღონო არიან გარე მიქცევად შიშისა, რომელნი მოიწევიან ერთგულთა მონათა ზედა ღუთისათა, მუნ თვით უფალი აღხდგება შეწევნად რხეულთა თჳსთა, რომელნი მხოლოდ მას ზედა დახდებენ სხსარებასა თჳსსა: „ნუ შეძრწუნდები, ეტყოდა წმიდა თომას ნუგემინისძემელო თანაჴყოფილსა თჳსსა, რომელი მიიწეოდა უბედურ-

რებსა შინა სასაწარმოოებისადმი; არა მოვხსნებოდა აწ, არამედ
კიქმნებით ცხოველ და თავისუფალ, და მივიღებთ პატრებს მეფი-
საგან პალატათს, რომელი აღუგოთ მას ზენასა სასუფელსა შინა,, —
და სასოებად მისდინ უფალსა ზედა არა სირცხვილულ ჭყო იგი.

მასვე ღამეს ძლიერად დასნეულდა ძმა მეფისა, და შემდგომ მცირე
რეღის ვრებულებისა მოკრულა მხელისა ხენისაგან. მწუხარება მწუხარებასა
ზედა დაერთო მეფესა შემდგომ ძმის სიკრდილისა; უკანასკნელმა უკ-
ვე, უძვირესდ მწუხარებად სიკრდილისათს საყვარელისა ძმისა-
მან განსდევნა თვსგან მწუხარებად დაკარგვისათს ოქროდსა და წყი-
ნებისა, რადცა უყო მას თოდამ. — ამის შორის სული გარდაცვალე-
ბულისა იყო აღუვანებულ ანგელოზისა მიერ უფლისა საკანესა მამი-
სა ზეცათასა და იხილა მან მრავალნი თერად საცვიფრონი მშვე-
ნიერნი და ბრწყინვალენი პალატნი და ერთი მათგან უმეტეს სსრ-
თა მკლვარე. — „ჰი! ნეტარ თუძცა მომეტეს მე დამკვიდრებად კი-
დესა შინა ერთისა მათგანისა პალატისასა,, — ჭსთქრს სულმან გარდა-
ცვალებულისამან, ანგელოზსა უფლისასა, რომელსა მიჭყვანდა იგი,
განკრთომილ იყო რა განსხვავებითა და სიდიდითა შენობისათა. — „შე-
უძლებელ არს ესა! — უზასუსა ანგელოზმან უფლისამან; პალატი ესე
არა შენ გეკუთვნის, არამედ ძმასა შენსა, მას აღუგო უცხოებასა შინა
მეფომან თოდამ, ოქროდთა მით, რომელი მისცა მას,, — გეკვდრები,
განავრცობდა საუბარსა სული შესვენებულისა ანგელოზისადმი, — მი-
ტევე მე წარსულად ძმისადმი ჩემისა, მან არა უწყის მშვენიერებად
და სიდიდე პალატისა ამის; მე შევისუიდი მას მისგან, ხოლო შემ-
დგომ კრალადცა მოვიქცევი აქს! — მამინ ანგელოზმან მიაქცია სული
სხეულისდა, — და მკრდარი იგი მყის განცოცხლდა. ვითარცა მხოვ-
ნელი ძვირფასისა მარგალიტისი, იგი უკვე არა რასა ზრუნვი-
და ქრსყანასა ზედა, თვნიერ დაცვისა თავისა თვისათს მის ზე-
ციერისა საუხვოსა. პირველი ჭარბი და პირველი სურვილი გული-

სა მისისა იყო მოწოდება თუხდა ძმისა თუხისა ჳ დახსნა მის-
გან უძვირფასესისა ზალატისა, რომელიც იხილა მან ცათა შინა.

მეოვე განცვიფრდა და ამასთანავე განიხარცა ესმა რა, რამეთუ
განცოცხლდა ძმაჲ მისი, და არა ჳყოვნა მისჴლად მისა. — „კუწყო
მე, იწყო უბნობად აღდგომილმან ძმისადმი თუხისა — მეოვისა, ვუწ-
ყო, რამეთუ გიყვარ მე და გხურდაცა ბოძებად ჩემდა ვიდრე ზო-
გადისა სამებოდასა შენისა, რათამცა მისხენ მე სიკჴდილისაგან,„. მე-
ოვემან დაამტკიცა სიტყუა ესე,„ და ესრეთ გთხრო შენ ერთსა მო-
წყალებასა, განავრცობდა იგი; უკეთუ ნამდვილად ესრეთ გიყვარ მე,
მამა ნუ უგულებელსჴყოფ ვედრებასა ჩემსა. მეოვემან თიციით აღ-
უთქუა სრულყოფად თხროვისა მისისა. მამინ აღდგომილმან რქუა:
„მომეც მე ზალატი იგი, რომელი გივის ცათა შინა, და ნაცჴლად
მისა მიიღე ყოველი სიმდიდრე ჩემი,„. განცვიფრდა მეოვე მსმენე-
ლი თხროვისა ამის, და ვერ გულისხმასჴყო თუ რას ნიშნისა იგი.
ოდეს დახსნა ზირველი იგი განცვიფრებაჲ მისი, რქუა: მითხარ,
ძმაო, სადით და ვითარე ზალატი მივის მე ცათა შინა? აღდგომილ-
მან ძმამან მიუთხრა მას ყოველი, რაოდენიცა იხილა მან სავანეთა
შინა მამისა ზეცათასა და ესმინეს ანგელოზისაგან. მადლი ღჴთისა
შეესო გულისა მისსა და სრულყოფ მოქცევაჲ მისი მართლისადმი
სარწმუნოებისა. „კეთილარს, მიუგო მან ძმასა თუხსა ვედრება-
სა ზედა მისსა, — მე აღგითქუ შენ, რათა არა უგულებელსჴყოფ
მით, რადცა მივის ქუზყანასა ზედა და არს ჩემსა უფლებასა ქუზ-
შე, სოლო ზალატთა, აღგებულთა ზეცათა შინა, აღთქმად არა ძალ-
მიძს. გარსა უკეთუ გნებავს აღგებაჲ ესრეთისავე ზალატისა, არს
ამისთვის გამოცდილი სელფანთამთავარი, იგი აღგებს შენთუხსა,„
და წარავლინა მუის განთავისუფლებად წმიდისა მოციქულისა ერთ-
ად მომევანებელისა მისისა ავანისა სავრობილით.

ჳ სრულ იქმნა მამინ წინასწარმეტყუველება წმიდისა მოციქუ-

